სადოქტორო პროგრამის სახელწოდება - ინგლისური ფილოლოგია

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ფილოლოგიის დოქტორი / **Ph.D in Philology**

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი სრული პროფესორები მანანა გელაშვილი, მანანა რუსიეშვილი; კონსულტანტი ემერიტუსი - რუსუდან ენუქიძე

სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება.
ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამა მოიცავს 3 ძირითად სპეციალიზაციას: ინგლისური ენის თეორია, ინგლისური ლიტერატურა, ლექსიკოგრაფია.
ა) პროგრამის მიზანი - დოქტორანტურის კურსი ითვალისწინებს ინგლისურ ფილოლოგიაში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას ინგლისური ენის თეორიის და ინგლისური ლიტერატურის დარგში, რომელთა მომავალი მუშაობის სფეროები იქნება: უმაღლეს სასწავლებლებში თეორიული საგნების წაკითხვა, სამეცნიერო მუშაობა შესაბამის ინსტიტუტებში. დასახელებულ დარგებში ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი განიცდის ნაკლებობას იმ სპეციალისტებისა, რომლებსაც შეეძლებათ მაღალპროფესიულ დონეზე წაიკითხონ სხვადასხვა თეორიული საგნების კურსები, როგორც ინგლისური ენის თეორიაში, ასევ ინგლისურ ლიტერატურაში. გარდა ამისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ლექსიკოგრაფიის სპეციალი-ზაციის შემოღებაც, რადგან ინგლისურენოვან თარგმნით ლექსიკონებზე მოთხოვნილება დღითი-დღე იზრდება, სპეციალისტები კი - საძებარია. დოქტორანტების მომზადება ლექსიკოგრაფიის სპეციალიზაციით უთუოდ გადაჭრის ამ პრობლემას.
ბ) პროგრამის შედეგი - დოქტორანტურის კურსის გავლის შედეგად დოქტორანტებს მიენიჭებათ ინგლისური ფილოლოგიის სფეროში სპეციალისტის სტატუსი. მათ ექნებათ ინგლისური ენის თეორიასა და ინგლისურ ლიტერატურაში (სპეციალიზაციის მიხედვით) დამოუკიდებელი კვლევის უნარი, თანამედროვე სამეცნიერო პრობლემატიკის და მეთოდოლოგიის საფუძვლიანი ცოდნა, რაც მათ შესაძლებლობას მისცემს ორიგინალურად გამოიკვლიონ აქტუალური საკითხები და ანალიზის შედეგები პრაქტიკულად გამოიყენონ; და რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, შესძლებენ თავიანთი წვლილი შეიტანონ ახალგაზრდა სპეციალისტების დაოსტატების საქმეში.

დოქტორანტის დასაქმების სფეროები:

- ყველა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სამეცნიერო პროექტში;
- ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა შესაბამის დეპარტამენტებში;
- საქართველოს და საზღვარგარეთის სამეცნიერო ბიბლიოთკებში;
- საგამომცემლო და პერიოდული პრესის რედაქციებში მთარგმნელად და სტილისტად
- მასმედიის ყველა მიმართულებით, ექსპერტად და კონსულტანტად;

სამთავრობო და კერძო სტრუქტურების მეცნიერ-ექსპერტად;

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები - სადოქტორო პროგრამა გათვალისწინებულია ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის ყოფილი მაძიებლებისა და ასპირანტებისათვის, რომლებზეც ვრცელდება თსუ `დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ დადგენილების~ გარდამავალი დებულებები. კერძოდ, კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- საკანდიდატო მინიმუმების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინგლისური ენის C-1 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

სამეცნიერო კვლევების მტერიალურ-ტექნიკური ბაზა-ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ევროპული ენებისა და ლიტერატურის მიმართულების კორპუსში (#5) არსებობს კომპიუტერუ-ლი ბაზა და ინტერნეტი, რომლითაც დოქტორანტებს შეუძლიათ ისარგებლონ. განვიცდით საშინელ ნაკლებობას თანამედროვე ენის თეორიის და ინგლისური ლიტერატურის ისტორიის პრობლემატიკის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში. დოქტორანტები ძირითადად მათი სამეცნიერო ხელმძღვანელის პირადი ბიბლიოთეკით სარგებლობენ, რაც, რა თქმა უნდა, მეცნიერების განვითარების დღევანდელ ეტაპზე არაა საკმარისი. აუცილებელია დარგობრივი ბიბლიოთეკის შევსება თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით.

ადამიანური რესურსების (ანუ სამეცნიერო ხელმძღვანელთა) რაოდენობიდან გამომდინარე მომდინარე სასწავლო სემესტრში ინგლისური ფილოლოგიის დოქტორანტურაში შესაძლებელია 2-3 დოქტორანტის მიღება

პროგრამაში მონაწილე პროფესორები:
ასოცირებული პროფესორები:

ნ. დარასელია
თ.მარგალიტაძე
ც. ხვედელიძე
ნ. ნემსაძე